საქართ. შემარცხენე სოც-ფედერალისტთა ხარეკოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

№ 165

ხუთშაბათს, დეკემბრის 7 1922 წ.

ცალკე. ფასი 50ათ მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 9 დეკემბერს

ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანიშვილის

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 165. 3—1

უნივერსიტეტის რეორგანიზაცია

დღეს მთავარ საკითხად სდგას უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხი. ეს საკითხი უდიდესი საკითხია, რომლის გადაჭრასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი ეროვნული კულტურის სვეტები. ვრის ღირებულება მისი კულტურული შემოქმედებით განიზომება. ხოლო კულტურის ტაძარი—უნივერსიტეტია.

უნივერსიტეტის დაარსება ქართველ ხალხს მაშინ ეღირსა, როდესაც რუსული იმპერიალიზმის დამხობა მოგვცა ისტორიის ლოდიკამ. ჩვენი ხალხის უდიდესი სურვილი და მისწრაფება უმაღლესი სასწავლებლის მკვიდრ და მშობლიურ ნიადაგზე მოწყობისა განადდდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებით.

თანამედროვე ბანა აკადემიური მუშაობისათვის არ არის ხელსაყრელი დ უნივერსიტეტები არა თუ ჩვენში, არამედ ევროპის მაშტაბშიაც კრიზისს განიცდიან.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ უნივერსიტეტის გაჯანსაღებას. ამას მოითხოვს, როგორც ეროვნული კულტურის ინტერესი, რომელიც რენესანსის გზაზედ უნდა შედგეს, ისე საჭიროა წყობილებისა და რევოლიუციის ინტერესიც, რომელიც მოითხოვს სპეციების სათანადო კადრს და დახელოვნებულ მუშაკებს.

ღღეს, როდესაც უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხის წინაშე ვდგევართ საჭიროა დიდი სიფრთხილე და დაკვირვება, რომ ქართული უნივერსიტეტი დაცემის გზაზედ კი არ შედგეს, არამედ აღორძინების გზაზედ.

განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო სტუდენტთა გაწმენდის დროს. უნივერსიტეტს უნდა ჩამოშორდეს ხხოლოდ ის, ვინც არსებითად უნივერსიტეტის გარეშე სდგას ან ვინც მხოლოდ უნივერსიტეტის ნორმალურ მუშაობის შეფერხებას ისახავს მიზნად.

ჩვენ გვაგონდება ამა წლის იანვარში გამოცემული სტუდენტთა გაზეთი „სტუდენტთა დღე“, რომელსაც ‖ხელმძღვანელობენ ჩვენი ამხანაგები და კომუნისტები და რომელშიაც ‖გარკვევით—ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სტუდენტთა უმრავლესობა არ არის კონტრრევოლიუციონური, რომ მხოლოდ ძემარჯვენე პარტიები სცდილობენ სტუდენტთა გამოყენებას პოლიტიკურ ბრძოლაში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ თვით კომუნისტურმა ძალამ ხელი მოაწერა მას და აღიარა, რომ ქართველი სტუდენტობის უმრავლესობა არ არის კონტრ-რევოლიუციონური ელემენტი.

ღღეს, როდესაც გაწმენდის შესახებ არის ლაპარაკი და სათანადო ზომებიც არის მიღებული გაწმენდისათვის არ უნდა დავივიწყოთ ეს გარეგნობა. უნივერსიტეტის გაწმენდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმათ ხარჯზე. ვინც თავის თავად არ არის საუნივერსიტეტო მუშაობაში ჩაბმული. ვინც მხოლოდ ფორმალურად ითვლება უნივერსიტეტში ან ვინც ხელს უშლის აკადემიურ მუშაობას. გაწმენდის დროს არ კმარა ის ფაქტი, რომ ზოგი შეცდომით მოხვდა სატუსალოში რამდენიმე დღით, რომლის კონტრ-რევოლიუციონერობა საგანგებო კომისიამ ვერ დაამტკიცა და გაანთავისუფლა კიდეც.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს გამწმენდი კომისიის ერთ ერთი მუხლი, რომელიც ღღეს ‖ცხადდებს მინიმუმებს სავალდებულოდ და ღღესვე ამ მინიმუმების ჩაუარგნლობისათვის რიცხავს სტუდენტებს უნივერსიტეტისაგან.

ეს მუხლი ყოველად დაუშვებელი და მიუღებელია. მინიმუმის გამოცხადებას პირობითი ხასიათი უნდა ქონდეს, რომლის შეუსრულებლობის შემდეგ შეიძლება მის მიხედვით მოხდენილ იქნეს გაწმენდა. ამასთანავე მინიმუმების დაწე‖ების უფლება უნდა ქონდეს პროფესორთა საბჭოს, რადგან აქ საჭიროა მინიმუმში შეტანილ იქნეს ის საგნები, რომელსაც შესავლის ხასიათი აქვს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესწავლისათვის. წინაღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მინიმუმში აღნიშნული საგანთა რიცხვი შეაკვლოს სტუდენტმა ადვილი და მცირე მნიშვნელობის მქონე საგანთა ჩაბარებით და თავი იხსნას „გაწმენდისაგან, რითაც ვერ მივაღწევთ აკადემიურ მიზანს,

აგრეთვე შეეხება უნივერსიტეტის რეორგანიზაციას და მის უფლებრივ ორგანიზაციულ მდგომარეობას, ამაზედ ლაპარაკი შეიძლება ხხოლოდ მაშინ, როდესაც ხელთ გქნება რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ჯერჯერობით არ არის შემუშავებული.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ირგვლივ მეტად ცუდი ხმები ვრცელდება საზოგადოებაში, ვითომც უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ‖ხელის ‖ხმობდეს ქართულ უნივერსიტეტის გაუქმებას. ჩვენი ეროვნული კულტურის დევნას და სხვა და ‖ხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა რეორგანიზაციის საკითხის გადმოტანა პრესაში, მისი განხილვა ფართოდ და ისეთი რეორგანიზაციის მოხდენა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტს კი არ დასცემს, არამედ აღადგენს და შექმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის.

ხ.—ელი.

ნარკვევი

მუსოლინის მთავრობის საგარეო პოლიტიკა

მოსკოვის „პრავდა“ არკვევს მუსოლინის მთავრობის საგარეო პოლიტიკას და იმ პერსპექტივებს, რომელიც დასახული აქვს ამ მთავრობას საგარეო პოლიტიკის სფეროში. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით:

ფაშისტები, როგორც ოპოსიციონერები, შემდეგ პროგრამას იცავდენ საგარეო პოლიტიკაში: ბრძოლა სანტა-მარგარიტას ხელშეკრულების წინააღმდეგ; ბრძოლა ინგლისის მსოფლიო ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს იტალიის გამაგრებას ხმელთა შუა ზღვაზე; ენერგიული პოლიტიკა სარეპარაციო საკითხებში და ძლიერი ხელი კოლონიებში.

ერთი სიტყვით იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია კატასტროფიული მდგომარეობამდე მიიყვანა ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპასა და კოლონიებში.

ასეთი პოლიტიკა იტალიის ბურჟუაზიის თვალში, შეუძლებელს ყოფდა საგარეო პოლიტიკის ფაშისტების ხელში გადაცემას. მაგრამ როგორც ვიცით, ფაშისტური მოძრაობა ფაშისტურ გადატრიალებით დასრულდა. პუანკარესა და ბონარლოუსადმი გაგზავნილ დეპეშაში მუსოლინი ხსნის მოკავშირეთა სოლიდარობის აუცილებლობის შესახებ. გაზეთებს მოყავთ პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ დალმაციის საკითხი გადაწყვეტილია და აბსურდია რაიმე გართულების შესახებ ლაპარაკიო (მაშასადამე არავითარი ომი სამხრეთ სლავიასთან!)

მუსოლინის პირველი დიპლომატიურ მოლაპარაკება შესდგა რომში ინგლისის და სამხრეთ სლავიის ელჩებთან და როგორც სჩანს, საკმაოდ დამამშვიდებელ ხასიათს ატარებდა.

მაგრამ მუსოლინის საგარეო პოლიტიკაში არის ახალი რამეც,—ორიენტაცია ამერიკაზე, აუცილებელი კრედიტის მიღების იმედით. ამასთანავე იტალია დაინტერესდა ამერიკული კაპიტალითაც. აქამდე მხოლოდ ერთი შეთანხმებამდეა მიღწეულია—პორტ პალერმოს ასაშენებელი კონცესიის. იტალიელ კომერციული ბანკისა და მორგანის ჯგუფის შორის მოლაპარაკება 50—100 მილიონ დოლარის სესხის შესახებ რკ. გზების ელექტრიფიკაციისათვის დასრულდა მით, რომ მორგანმა მოითხოვა სახელმწიფოებრივი გარანტია. ასევე უშედეგოდ დასრულდა იტალიის ახლო-აღმოსავლეთის საშაქრო ტრესტში შესვლის ცდაც და აგრეთვე იტალიელი ელჩის მოლაპარაკება ვაშინგტონში სახელმწიფოებრივი სესხის შესახებ, რადგან ამერიკული საფინანსო ჯგუფი მოითხოვდა გარანტიის სახით იტალიის რკ. გზებს.

ახალი მთავრობის ერთ-ერთი პრინციპიალური განცხადება მდგომარეობს მასში, რომ საზოგადოებრივი წარმოებანი, რომლებიც დეფიციტით მუშაობენ, ‖კერძო მწარმოებლებთ უნდა გადაეცეთ. ამით გზა ეხსნება სესხს ამერიკაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ფაშისტურ პარტიის მთავარი მდივანი ბანკი, ჯერ კიდევ გადატრიალებამდე აღნიშნავდა, რომ რაკი ძალაუფლება მუსოლინის ხელში გადავა, იტალიის კრედიტის უნარიანობა უცხოეთში აიწევსო.

მუსოლინმა დეპეშა გაუგზავნა იუზის, რომელშიც ლაპარაკობს ორთავე ხალხის ეკონომიურ და სულიერ თანამშრომლობის შესახებ. ლირას კურსი მაღლა იწევს. სახალხო პარტიის ცენტრალური ორგანო უკვე იტყობინება, რომ ახალი მთავრობისთვის კრედიტი უცხოეთში უზრუნველყოფილია.

საგარეო სესხს იტალიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრივი სამუშაო უზრუნველყოფს უმუშევრებს, რომლის ფაშისტურ ნაწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთავრობისთვის. სახელმწ. წარმოებების კერძო ხელში გადაცემა შეამცირებს სახემლიფოს დეფიციტს.

საზოგადოების რა ნაწილი დაბარალდება ამ პროგრამის ‖ცხოვრებაში გატარებით? უპირველეს ყოვლისა მუშები და მოსამსახურენი, რომლებიც მრავლად იქნებიან გაძევებული, რადგან ასინი არიან დეფიციტის მთავარი მიზეზი. 8 საათის სამუშაო დღე ალარ იქნება რკინის გზებზე და ეს კი გავლენას იქონიებს მუშათა კლასის სხვა წრეებზეც. რეალურ სამუშაო ხელფასი კიდევ უფრო დაიწევს; თვით პროლეტარიატის მორალური მიღწევანიც კი დაექვემდებარებიან მოწინააღმდეგეთა თავდასხმას. მეორე მხრით კი დიდად მოიგებს ამერიკა, რომელიც მსოფლიო ხასიათის საკითხებში მეტად გაძლიერდება იტალიის ვასალობის გამო. ომიანობის შემთხვევაშიც ამას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა.

ყოველივე ეს ღღემდე პროექტშია მხოლოდ. რამდენად მალე გატარდება ის, დამოკიდებულია შინაურ ძალთა განწყობილებაზე. იტალია ჯერ კიდევ შორსაა ნორმალურ ცხოვრებიდან. ვინ იცის, ფაშისტების ყველა წრეები დაადასტურებენ ამ პროგრამას თუ არა.

ლოზანას კონფერენცია

ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 6 დეკ. ლოზანიდან იტყობინებიან: „ტანის“ კორესპონდენტთან ინტერვიუმში ჩიჩერინმა განაცხადა: „სრუტეებზე საერთაშორისო კონტროლი გამოიწვევს შავ ზღვაზე უძლიერეს ზღვის სახელმწიფოს გაბატონებას. რუსეთი ვერ იტყვის უარს შავ ზღვაში ფლოტის დეტოვებაზე, სანამ სხვა სახელმწიფოები, სტოვებენ თავიანთ ფლოტს. საშიშროება იზრდება ზოზიერთ სახელმწიფოების პოლიტიკით, რომელთაც სურთ ნავთიან ადგილების ხელში ჩაგდება და რუსეთის წინააღმდეგ დასაყრდნობ პუნქტების შექმნა. ამ პოლიტიკის გამარჯვებით ოსმალეთი მოექცევა მოწინააღმდეგეთა წრეში“.

რაშიდ-ბეის განცხადება.

მოსკოვი. 6 დეკ. „ჩიკაგო ტრიბუნა“ იტყობინება, რომ რაშიდ-ბეიმ გაზ. „ტრიბუნ“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს ისმეტ-ფაშის სახელით, უკანასკნელის ჩიჩერინთან შეხვედრის შემდეგ, განაცხადა, რომ თვით ოსმალოები სრუტეების საკითხის განხილვის დროს სსდომაზე გამოვლენ მეთვალყურეების როლში და მოკავშირეების წინააღმდეგ გაილაშქრებენ იმისათვის, რომ რუსები მოითხოვენ არა მარტო სრუტეების განთავისუფლებას სამხედრო გემებისაგან, არამედ ოსმალეთისათვის უფლების მიცემას, რათა მან გაამაგროს საკმაოდ დარდარდანელი და ბოსფორი

სრუტეების კომისიაში.

ჰანნოვერი. 6 დეკ. (დასაწყისი არ არის მიღებული).. ოსმალეთისათვის სრუტეების საკითხის გადაჭრით გადაწყვეტა, იმ სხვა სახელმწიფოთა გემებისათვის მის სრულ დაკეტვას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკე სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფი იქნებიან მდგომარეობის ბატონ-პატრონნი, რაც რუსეთის და მის მოკავშირეების მხრივ უდიდეს წინააღმდეგობას გამოიწვევს.

ისმეტ-ფაშამ მოკლედ განაცხადა, რომ ოსმალეთი სავსებით უერთდება ჩიჩერინის განცხადებას. ვინაიდან ის სრულებით გამოსახავს ოსმალეთის თვალსაზრისს.

ლორდ კერზონმა განცვიფრება გამოსთქვა ისმეტ-ფაშის ასეთი მოკლე განცხადების შესახებ.

ჩიჩერინის მოთხოვნილებანი.

ჰანნოვერი. 6 დეკ. ჩიჩერინმა მოითხოვა მოკავშირეებისაგან მათი პოზიციების გამორკვევა, მაგრამ სხდომა გადადებულ იქნა და ჯერ არ არის გამორკვეული როდის განახლდება კონფერენციის მუშაობა.

ანტანტის ექსპერტები.

„ტან“-ის ცნობით საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის სამხედრო და საზღვაო ექსპერტები შეთანხმდნენ პროექტის ტექსტის შესახებ, რომელიც განსახილველად წადრედგინება სრუტეების კომისიას. იტალიის ექსპერტები უკვე არ მოითხოვდნენ შენიშვნების შეტანას. ფიქრობენ, რომ ამის გამო კომისიის პლენარული სხდომა ‖გაიმართება დღეს რუსეთის და ოსმალეთის დელეგაციების მონაწილეობით.

ზარალების ქვეკომისიაში.

ბორდო, 6 დეკ. ქვეკომისიამ, რომელიც არჩევდა ოსმალეთში არსებულ სხვა და სხვა საზოგადოებისადმი მიყენებულ ზარალს, ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა და დროებით შესწყვიტა თვისი მუშაობა.

რუმინიის და ბოლგარეთის წინადადება.

ლონდონი, 6 დეკ. რუმინიის სახელით, დუკამ შეიტანა წინადადება, რომელიც მოითხოვს შავის ზღვის მთელ ნაპირების დემილიტარიზაციას. სრუტეები უნდა იმყოფებოდნენ საერთაშორისო კომისიის კონტროლის ქვეშ და ყველასათვის როგორც მშვიდობიანობის ისე ომის დროს ღია „უნდა იყონ. სტამბოლინსკი ბულგარეთის სახელით ეხარს უჭერს ამ წინადადებას და ამასთან ერთად მოითხოვს საკონტროლო კომისიაში ბულგარეთის წარმომადგენელის შეყვანას.

რუსეთის წინადადება—ყველაზე უკეთესი.

ლონდონი, 6 დეკ. „დეილი ნიუზის“ ცნობით ისეთ-ფაშას ჯერ-ჯერობით არ გამოუთქვამს ოსმალეთის თვალსაზრისი. მან სთქვა მხოლოდ, რომ ყველა წინადადებებზე უკეთესად მიიჩნია რუსეთის წინადადება.

ილალია და სრუტეები.

ჰანნოვერი, 6 დეკ. იტალიის წარმომადგენელმა კონფერენციაზე—განაცხადა, რომ მან უნდა აცნობოს მუსოლინს კონფერენციაზე მუშაობის მსვლელობის შესახებ. ამრიგად კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერობა სრუტეების საკითხში დამოკიდებულია იტალიის პასუხისაგან. ფიქრობენ, რომ ეს პასუხი მაინც და მაინც არ იქნება ხელსაყრელი საფრანგეთ-ინგლისის რეზოლიუციისათვის, და რომ ლორდ კერზონი მიუხედავად ყოველგვარ ლონისძიებისა, ვერ შესძლებს საკავშირთშორისო ფრონტის აღდგენას.

უცხოეთი

ინგლისის თემთა პალატაში.

მოსკოვი. 6 დეკ. თემთა პალატაში მომხდარ დებატებას დროს, ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ არ შეიძლება ვაჭრობის ნორმალურ პირობებში აღდგენის იმედი ვიქონიოთ მანამ, სანამ ევროპაში და მსოფლიოში გამოუურკვეველი მდგომარეობა არსებობს. ინგლისს არ შეუძლია უარი სთქვას რეპარაციებზე, რადგანაც არა ნორმალურია, რომ მარტო ინგლისმა იხადოს ყველას მაგიერ. ბონარ ლოუს სიტყვის სიპასუხოთ, კლეინსმა აღნიშნა, რომ ინგლისის ვაჭრობის და მრეწველობის კრიზისის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ყოფილი მთავრობის უაზრო პოლი-

ტიკა რეპარაციების საკითხში და რუსეთის მიმართ, უკანასკნელი კი ინგლისის მრეწველობისათვის უდიდეს ბაზარს წარმოადგენს.

დებატების დასასრულში უმუშევართა საკითხის შესახებ თვმთა პალატამ 303 ხმით 172 წინააღმდეგ უარყო მუშათა პარტიის რეზოლიუცია.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

მოსკოვი. 6 დეკ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში განხილულ იქნა კანონ-პროექტი 18 თვიანი სამხედრო სამსახურის ვადის შემოღების შესახებ, რაც დაკავშირებულია არმიის 160 ათასი კაცამდე გადიდებასთან. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს რვეინის მიმართულებით საფრანგეთის საზღვრების დასაცავად აუცილებელია მინიმუმი, და რომ შეუძლებელია ლაპარაკი არმიის შემცირებაზე.

რეპრესიების პოლიტიკა.

მოსკოვი. 6 დეკ. ამერიკის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მიერ გერმანიის მიმართ წარმოებულ რეპრესიების პოლიტიკას არ შეუძლია მოიტანოს პრაქტიკული შედეგები. ეს პოლიტიკა აჩქარებს ევროპის ეკონომიურ ცხოვრების დაშლას.

ბონარ ლოუ და მუშები.

მოსკოვი. 5 დეკ. ბონარ ლოუმ ქვანახშირის მადაროების მუშებს განუცხადა, რომ მთავრობას არ ძალუძს გაუჯობესოს მუშათა მდგომარეობა.

რუსეთი

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი 6 დეკემბერი. პოლონეთის დელეგაციის წინადადების საპასუხოდ, რომელიც მოითხოვდა თვით შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვამდე თავდასხმისაგან თავის შეკავების, არბიტრაჟის და „ხელობის აღმოსფერის“ შექმნის შესახებ შეთანხმების წინასწარ განხილვას, ლიტვინოვმა 4 დეკემბერს კონფერენციის ბიუროს სხდომაზე სთქვა: „შეიარაღებულ ძალების გადიდება თუ ებლანდელ როდენობით დატოვება წარმოადგენს სწორედ გამოხატულებას იმ უნდობლობისა, რომელის შესახებ აქ ასე ბევრს ლაპარაკობენ. მოიარაღური განიარაღების პირველ პირობას წარმოადგენს მატერიალური განიარაღება. მოიარაღურ განიარაღების დროს ჩვენ დავკმაყოფილდებით სიტყვებით და ქაღალდებით, მატერიალურის დროს კი საქმით დავამტკიცებთ განიარაღებას. ჩვენ არა გვსურს ილიუზიების შექმნა; ჩვენ არა გვსურს შეცდომაში შეიყვანოთ ჩვენი და სხვა სახელმწიფოების ხალხი“.

ამ განცხადების შედეგად პოლონეთის და ესტონიის დელეგაციებს სურდათ სხდომის გადადება შემდეგი დღისათვის, მაგრამ ფინეთის დელეგაციის წინადადებით, რომელსაც ხმა მიეცა რუსეთის დელეგაციამ, ბიურო მაშინვე შეუდგა თავდასხმისაგან თავის შეკავების და არბიტრაჟის შესახებ შეტანილ შეთანხმების პროექტის განხილვას.

ახალგაზდათა კომინტერნის მესამე კონგრესი.

მოსკოვი, 6 დეკ 5 დეკემბერს მოსკოვში დ დი ზეიმით გაიხსნა ახალგაზრდობის კომინტერნის მესამე კონგრესი. შილერი აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ხსნის ყრილობას და ამბობს: „ახალგაზრდობის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა წინადადებით მიმართა ახალგაზრდობის სოც. - დემოკრატიულ-ორგანიზაციებს შექმნან კაპიტალთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი, მაგრამ რეფორმისტულმა ხელმძღვანელებმა ამაზე უარი სთქვეს. მიუხედავად ამისა ჩვენი მისწრაფება იქნება ერთიან ფრონტის შექმნა.

არჩეულია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ბუდეიჩი და შილერი (ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომი), გიპნერი (გერმანია), სოსელი (იტალია), იუნგა (ინგლისი), შაცკინა (რუსეთი), უმილა (იაპონია).

კონგრესს ესალმებიან: შაცკინა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ცეკას სახელით, ბოდრიგა კომინტერნის სახელით, კუიბიშეკი რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით, კოლინინი სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და მონმუსო წითელ პროფინტერნის სახელით.

კონგრესზე აქვეყნებენ ლენინის წერილს, რომელიც დიდ და ხანგრძლივ ტაშს იწვევს. წერილში ლენინი უსურვებს კონგრესს ნაყოფიერ მუშაობას და გამოსთქვამს იმედს, რომ ახალგაზრდობა არ დაივიწყებს ახალგაზრდობის სწავლის და მოზადების გაძლიერებას, რაც მის უდიდეს მოვალეობას შეადგენს.

შულგი გერმანიის დელეგაციის სახელით წინადადებას იძლევა მიესალმოს კონგრესი რუსეთის პროლეტარულ ახალგაზრდობას. იუნგი იაპონიის და ინგლისის დელეგაციების სახელით წინადადებას იძლევა გაგზავნოს მისალმება რუსეთის წითელ არმიას და წითელ ფლოტს. ნეგი საფრანგეთის დელეგაციის სახელით წინადადებას იძლევა გაგზავნოს თანაგრძნობის მისალმება ყველა თეთრ ტერორის მიერ დევნილებს. ყველა ეს წინადადება ერთხმად არის მიღებული.

ზოგი რამ

ლამაზი ხელი.

როცა ჯერ სტამბა არ იყო მოგონილი, უოველ ქვეყანაში ლამაზი ხელით ნაწერს დიდი გასავალი ჰქონდა. თუ გულში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ ხელ ნაწერი ხშირად შეკვეთით იყო დამზადებული, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის სილამაზე და შნო ხელისა, რომელიც ყოველი ქვეყნის ძველებურ ხელნაწერს ატყვია.

ან რად უნდა ადგო მუშტარს ცუდად დაწერილი, როცა გადაწერაში საფასურს აძლევდა?

მაგრამ არც სტამბის შემოღების შემდეგ გადავარდნილა ლამაზი ხელი წერისა, ლამაზ ხელს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა არ დაჰკარგვია. სახელმწიფოებრივი ცხოვრების აპარატის გართულებას სჭიროდა ლამაზი დაწერილი საქმის ქაღალდები. ამ საჭიროებას უძღვებოდა სკოლა. რომელიც უდაბნო-საფანდურთაგან ქალაქში გადმოვიდა. ლამაზი წერა-კალიგრაფია მნიშვნელოვან საგნად გადიქცა. სახელმწიფომ გაიჩინა კოპისტები გადამწერნი, რომელნიც დაბალ მოხელეებად ითვლებოდნენ, მაგრამ დიდად საჭირონი იყვნენ მაინც. მაშინ იყო სწორედ, რომ გაჩნდნენ მქერდველნიც, რომელნიც ამტკიცებდნენ და ზოგიერთი მათგანი ეხლაც ამტკიცებს, ლამაზი ხელი წერისა სულელების, იდიოტების ხვედრიაო. დაცინვა ყველაფრის შეიძლება, მაგრამ საქმის დანიშნულება მევრს არ ეცმის. სხვა არ იყვეს რა ლამაზ წერას მოითხოვს წარმოების, ხელობის პრინციპი, როგორიც არის მაგალითად ხატვა, ქანდაკება. მაშასადამე ნაწერიც ისევე, როგორც ნახატ-ნაქანდაკევი, კი ნაკეთებ ნახელავი უნდა იყვეს. ახალგაზრდა პატარობიდანვე უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, ოომ მისი ნაკეთებ-ნახელავი, ამ შემთხვევაში ნაწერი, ლამაზი უნდა იყვეს, სულ ერთია, თავისთვის სწერს, მეგობრისთვის, უფროსისთვის, თუ ხელქვეითისთვის.

მაგრამ წერის გაკვეთილები ბოლოს და ბოლოს მაინც მოისპო იმ მოსაზრებით—უთუოდ ხარჯის შემოკლების—რომ ვინც ენას ასწავლის, წერაც იმანვე ასწავლოსო. მოსაზრება კი საუბედურო შეიქნა. ენის მასწავლებელი ვერ გამოდგა წერისთვის სასარგებლო, რადგანაც წერის გაკვეთილები ცალკე ადარ იყო. ენის გაკვეთილზე კი წერის სწავლება ვედარ მოხერხდა. მასწავლებელი როგორც მწყვარი, გამოუყენეს ორ კურდღელს, მაგრამ ვერც ერთი დაიჭირა. ამის გამო დღეს მოსწავლე ახალგაზრდობას არც ლამაზი ხელი აქვს წერისა, არც კიდევ ლამაზი ცოდნა სამშობლო ენისა. ენის ცოდნა ხომ სულ დასცა გრამატიკის გაკვეთილების მოსპობამ.

მეტს მოგახსენებთ, როგორც პედაგოგი, ტექნიკუმის მოსწავლესაც (მოწაფე დღეს იშვიათია) არ ემარჯვება არც დახაზვა, არც დაუხაზავად წერა, რადგანაც სწორე სტრიქონ სტრიქონ წერა ვერ მოუხერხებია ვერც თვალით გაუვლია სწორე ხაზი. გული მწყდება, როცა ვაკვირდები ნაწერს იმ ქართველ მოსწავლეთა, რომელნიც სწავლობენ გერმანულ და ფრანგულ ტექნიკუმებში. მათი ლამაზი ხელი წერისა და ცოდნა სამშობლო ენის მართალ-წერა ლაპარაკისა ჰმოწმობს, რომ იქაურ პედაგოგებს ენის და წერის სწავლების საქმე უკეთ ესმის, ვიდრე ჩვენ. ერთი ინტელიგენტი მეუბნებოდა, რა უშავს რომ ვსთქვათ, ხატუმრები მოვიდა, შეთანხმება რა საჭიროაო. არ უნდა გავიკვიროთ, თუ ამის მთქმელმა ლამაზი ხელით წერაც დაჰკმოს. შინაური უთანხმოება, რომელიც ჰფუჰავს ჩვენს ქვეყანას, გვწდება, ჩვენი ენას და წერის კულტურაშიაც შევიტანოთ.

ქართული ენის და წერის საქმე დღეს დასადუპვაშია. ცირკულიარი კი არა, განსაკუთრებული სასწრაფო დეკრეტი არის საჭირო, რომ დაუყოყნებლივ ადგენილ იქმნეს პრაქტიკულის მეთოდით შრომის სკოლაში ქართული გრამატიკის და წერის გაკვეთილები. მხოლოდ საჭიროა, ხელი წერისა დაუახლოვდეს სტამბის ხელს, რადგანაც დღევანდელი სტამბის ხელი უწინდელი წერის ხელია რამდენისამე ასოს გამოკლებით, მართალია რო იწერება (დ, ლ, ო, გრ). რაც შეეხება ასოების გადახმა, ანუ გარკვულ ხელს. შრომის სკოლაში სასტიკად უნდა აიკრძალოს ასეთი ხელი. რადგანაც ქართულ ენაში გაკრულ ხელს აქვს თავისი საკუთარი წესი, რომელიც ტექნიკუმის მოსწავლეს უნდა აეხსნას და რომელიც ემყარება ასოთა ბუნებრივ დაკავშირების და კალმის ერთჯერ მოსმის პრინციპისა. მაგალითად ასოები შ—ვ—ი—ლ—ი, მ—ნ, შ—ნ, გ—ლ, ე—დ ადვილ—გადასაბმელია კალმის ერთი მოსმით, ხოლო ე—ა ა—მ, ე—ბ შეუძლებელია გადაიბმ ბუნებრივად კალმის ერთი მოსმით ისე, რომ არ დაიდრიკოს, სამწუხაროდ ზოგიერთი წერის დედანი სამაგალითოდაც კი იძლევა წერის დიდრეკილ ხელს, ისე დაცემულა წერის ხელის კულტურა.

საჭიროა პედაგოგებმა ამ საქმნს მიაქცონ ყურადღება, ხოლო სწავლა ვანათლების კომისარი მოვალეა, ეხლავ კომისია მოიწვიოს, რომ ქართული ენის და წერის კულტურა დაღუპვას გადაარჩინოს.

პეტრე მარიანაშვილი.

ახალი ამგები

ეროვნული

მიწა—ეროვნული

— მიწის ძვრა, რა დეკემბერს ობსერვატორიის - სეისმოგრაფების მიერ 4 დეკ. საღამოს 7 საათზე და 8 წ. აღნიშნული იყო ადგილობრივი ხასიათის მიწის ძვრა, რომელსაც მოსდევდა გრგვინვა. მიწის ძვრა წარმოადგენდა ოთხს ზედმიმდევნო 1 წუთის შუალედთ ბიძგს. უკანასკნელი ბიძგები იყო იმდენად მძლავრი რომ სეისმოგრაფების კალმები მოსხლტდნენ ადგილიდან და შესწყვიტეს მიწის ძვრის შემდეგი რეგისტრაცია.

ობსერვატორიის მიდამოებში მიწის ძვრის სიძლიერე აღინიშნება 4—5 ხარისხით. კერძო მიწის ძვრის დაშორებულია ტფილისიდან დაახლოვებით 30—40 კილომეტრით.

მიმართულება ჩრდილო-დასავლეთიდან (NW) სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (SO).—

4 დეკ. არც ყოფილ მიწის ძვრის წინ და არც მას შემდეგ მთელი დამე არავითარი რყევა დედა მიწის ქერქისა არ იყო შემჩნეული სეისმოგრაფების მიერ.—უკანასკნელი ფრიად სუსტი მიწის ძვრა აღნიშნული იყო ობსერვატორიაში ა. წ. 29 ნოემბერს.

— **ტფ. საბჭოში** წარმომადგენლების არჩევა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზედ. დეკემბრის 4-ს სახალხო სახლში შესდგა ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქმნა ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის წევრმა ამხ. მაზვილკიმ და მემარცხენე სოც.-ფედერალისტმა ამხ. თ. ღლონტმა. მიღებულ იქმნა შესაფერისი რეზოლიუცია. ბოლოს არჩეული იქმნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზედ 30 დელეგატი, მათ შორის ოთი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი.

პროვინციის ცხოვრება

ახალ ბეხაკში. ნოემბრის 26-ს ცხემარონი დიდი მიტინგი. მიტინგზედ გამოვიდა ახალ-სენაკში ჩამოსული ამხ. ს. ორჯონიკიძე, სტუმრები: ბიკოვი, დეტენსკი და მამული.

ზუგდიდის მაზრა. ოქტომბრის 1-ს იყო აღწერილი 39 უმუშევარი. ოქტომ-

მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა

(მოკლე ანგარიში)

2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე „ტრიბუნას“ redakciაში იხსნება მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა. სხდომას ხსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. ღლონტი. თავის შესავალ სიტყვაში იგი აღნიშნავს მომენტის სერთულეს, რომელსაც გაფართოებულმა სხდომამ გარკვეული პასუხი უნდა გასცეს. დასასრულ იგი წინადადებას იძლევა, რომ სხდომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნეს უხუცესი წევრი ამხ. მ. ესაკია, მდივნად რჩება მთავარი კომიტეტის მდივანი ამხ. სერ. ამაღლობელი. მანდატების შემოწმების დროს გამოირკვა რომ სხდომას დაესწრო 24 კაცი, მათ შორის მთ. კომიტეტის წევრი 8, დელეგატი 18.

დღის წესრიგში არის დასმული შემდეგი კითხვები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, 2. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი 3. პარტიული მუშაობა, 4. მიმდინარე კითხვები.

თავმჯდომარე პირველ სიტყვას აძლევს მოხსენებელს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამხ. თ. ღლონტს.

საერთაშორისო მდგომარეობა.

მოხსენება ამხ. თედო ღლონტისა.

1922 წ. ივნისის 6 როცა გაერთიანებულ პარტიის მეექვსე—ისტორიული კონფერენცია იყო ტფილისში სოციალისტ ფედერალისტთა პარტია გაიყო ორ დიდ ბანაკად. ეს ორი ბანაკი შემდეგში ჩამოყალიბდა მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებად. იდეოლოგიური საფუძველი ამ ორ ფრთათა დაახლოვებით ისეთივე იყო, როგორც მენშევიკებს და კომუნისტებს შორის. პოლიტიკური და ტაქტიკური სხვაობა სავსებით გამომჟღინარეობდა მომენტის გაგებიდან. მემარცხენე ფედერალისტები საერთაშორისო ძალთა განწყობილების შესწავლაში ხედავდენ ევროპიულ კაპიტალიზმის დაშლას, დარღვევას, აქედან საერთაშორისო რევოლიუციის პროცესს, როგორც არსებულ ფაქტორს; მემარჯვენენი დარწმუნებული იყვნენ კაპიტალიზმის სიმტკიცეში, რუსეთის რევოლიუციის სწორი გზიდან გადახვევაში, დადუპვაში და ამ გვარად საერთაშორისო რევოლიუციის შეუძლებლობაში მიმდინარე ისტორიულ პროცესში. ამ შემეცნებიდან გამომდინარეობს ორი პოლიტიკური მიმართულება: 1) აქტივისტური და რევოლიუციონური მოქმედება მემარცხენე ფრთის, 2) რევიზიონისტული, რეფორმისტული ე. ი. პოსიბილისტური მიმართულება მემარჯვენე ფრთის.

ცხარე პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენ ხშირად მოგვინათლავს მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები ხულიგანურ და კონტრ-რევოლიუციონურ ძალათ.

ისე წინაალმდეგ: მენშევიკ ფედერალისტები ჩვენ გვიკიცხავდენ ქართველი ხალხის და სამშობლოს ღალატს.

ვინ, როცა პარტიის წინაშე სერიოზული საკითხი სდგას და არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ დემაგოგიას, ცალიერ სიტყვებს და ყალბობას, უნდა ვსთქვა, რომ ორივე მხრის მიერ წამოყენებული ბრალდებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ პირწმენდილი ხულიგანები და სამშობლოს მოღალატენი ვიქნებით თუ ჩვენ მთავარ დებულებაში პოლიტიკურ ისტორიის გაგებაში შეგცდით და მენშევიკ მემარჯვენე ფედერალისტები უფრო ერეოლიუციონერები და ეროვნული მოღვაწეები იქნებიან თუ რევოლიუციის და კაპიტალიზმის შესახებ მათი მოსაზრებანი გამართლდნენ, ისე წინააღმდეგ: უამრავი შეცდომები და ყალბი ნაბიჯები რომ გადაიდგეს ეროვნულ დარგში, ჩვენ, ამ ნაბიჯების არა უშუალოდ მიმდებნი, უფრესი ეროვნული მოღვაწეები ვიქნებით, ხოლო მემარჯვენენი ეროვნულ საქმის მოღალატენი თუ ჩვენი მოსაზრებანი გამართლდენ საერთაშორისო მოძრაობის შესახებ.

ამ გვარათ მთავარი საკითხი მეტსახელებში და დემაგოგიები კი არ არის არამედ ძირითადი პოლიტიკური საკითხის განხილვა და სწორი შეფასება.

ამ მთავარი პოლიტიკური ამოცანის გამორკვევა სჭ ის ჩვენს პოლიტიკურს შემოქმედების საკითხსაც.

ამ მთავარ საკითხის გამორკვევის შემდეგ, რასაკვირველია, გვრჩება მრავალი შედარებით, წვრილმანი საქმე, მიმდინარე ყოველდღიური მომენტი და ტაქტიკური ნაბიჯები. ასე რომ ჩვენი მომენტი და ტაქტიკა ორ მუხლათ შეიძლება გაიყოს ან უკიდ ერთ მუხლად, რომელსაც შენიშვნის სახით გაუკეთდება ა-ქვე მუხლი.

მარტივად ეს ნიშნავს შემდეგს: მთავარი ბაზის მიღების შემდეგ ყოველდღიური პოლიტიკის წარმოება, მხარის დაჭერა ყველა გადაჭრილ საკითხისათვის თუ იგი სავსებით ეგუება მთავარ ბაზს, ხოლო პირობით და კრიტიკით მიღება გადაჭრილ საკითხების, რომელნიც ჩვენ მიგვაჩნია შემცდარათ, მაგრამ რომლისთვისაც მთლიან ფრონტს ვერ დავარღვევთ რაკი იგი საკითხი მთავარ პოლიტიკურ ბაზს არ სპობს და ანგრევს.

დღემდე ჩვენ მტკიცედ გვწამდა საერთაშორისო რევოლიუციის იდეა და ეს მთავარი ბაზი გვავალებდა ყოველი საკითხი მიგვეღო თუნდაც ჩვენთვის ძალიან სანელო ყოფილიყო მათი მიღება, რადგან ეს უკანასკნელი საკითხები მიგვაჩნია ქვემდებარე საკითხებათ, ნაკლებ მნიშვნელობის დღეის უმთავრეს ისტორიულ საკითხთან საერთაშორისო რევოლიუციის საკითხთან შედარებით.

თითქმის წელიწად ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მტკიცეს, მაგრამ მეტისმეტათ საპასუხისმგებელო ნაბიჯი გადავდგით. ქართველი ხალხის წინაშე ყოველი წევრი ჩვენი პარტიისა თავის სიცოცხლით უნდა იყოს პასუხისმგებელი. არავითარ შემთხვევაში ოოტის ოდნავათაც არავითარი მიკიბულ-მოკიბული ლათაიებით არასოდეს არ შეეცდებით შევარბილოთ ეს პასუხისმგებლობა მთელი ქვეყნის წინაშე.

ეს ჩვენ გვავალებს საკითხს მიუდგეთ მეტათ ფრთხილად, წინდახედულათ. ძალიან კარგათ და მუდამ უნდა გვახსოვდეს. რომ როგორც უმთავრეს ეროვნულ პარტიას — ჩვენს როლს, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა კიდევ მეტ ჯერ მოგვაგონებს სერიოზულად მოვეპყრათ იმ დიდ საკითხს, რომელსაც საერთაშორისო ცხოვრების ძალები ჰქვიან.

ეს ანალიზი ლოგიკურად განმარტავენ შემდეგ „ჩვენს მოქმედება-ტაქტიკასაც: კიდევ მეტ კონტაქტს შევქმნით არსებულს საბჭოთა ძალებთან თუ ამ კონტაქტს დავშორდებით და ვარჩევთ მეტების ციხის ან ჩოლოყაშვილის გზით სიარულს.

ვიდრე პირდაპირ საკითხის გაშუქებას შეუდგებოდეთ საჭიროთ მიმაჩნია სოციალოგიური თვალსაზრისის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა მოვლენის განხილვის დროს.

სოციალოგიურად ჩვენს პარტიისა და მენშევიკების შორის ის განსხვავება იყო, რომ ფედერალისტები სუბიექტურ მომენტს ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ, აქედან ჩვენ აქტივისტები ვიყავით, მენშევიკები მატერიალიზმს იდებდნენ და აქტიურ პოლიტიკის გზას მიიღებდნენ მხოლოდ შემზადებულ მატერიალურ პირობებში. აქედან გამომდინარეობდა, ფედერალისტებთან შედარებით, მენშევიკების პასივიზმი და პოსიბილისტური პოლიტიკა.

კომუნისტების დროს რა ხასიათი მიიღო მემარჯვენე ფედერალისტების შემეცნებამ? ამის პასუხი ყველასათვის აშკარაა. მემარჯვენე ფედერალისტები სოციალი მატერიალისტები შეიქნენ და რევოლიუციის პროცესს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ პირობებით ხსნიან და არკვევენ. იმიტომ, რომ მემარჯვენე ფედერალისტებმა ეკონომიური მოსაზრებით უდროოდ ადიარეს სოციალისტურ რევოლიუცია უკუ აგდეს იდეა სოციალისტურ მოძრაობაში აქტიურად ჩარევისა, რათა საზოგადოებრივი ძალების ზეგავლენით შეგვეცვალა ის ნაკლი, რომელიც ეკონომიკას ახლდა. ეს იყო ბუნება და აუცილებელი გაგრძელება ჩვენი სუბიექტივიზმისა და აქტივიზმისა მაგრამ ამ პარტიულ შემეცნების გზას მემარჯვენეებმა ულალატეს და ჩადგენ მატერიალისტურ ფატალიზმის და ფეტიშიზმის მწკრივებში.

ხვა ნაირია მემარცხენე ფედერალისტების ფაქტიკა და პოლიტიკა. ჩვენ პარტიის მოძღვრება, სოციალისტური ბუნება გვიკარნახებდა ჩაგვგოდით სოციალისტურს მოძრაობაში, ცდებში თუნდაც მართალი ყოფილიყო მემარჯვენეების მატერიალისტური მოსაზრებანი. ამიტომ წმინდა იდეოლოგიურად მემარცხენე ფედერალისტების აქტიურ-

ბერში გადმარა რეგისტრაციაში 19 უმუშევარი. მოგვ. 14 გიიგზავნა სამუშაოზედ ნოემბრის 1-ს ფაბრიკა ალრიცხვაზედ 29. მათ შორის 12 ქალი, ხოლო 17 ვაჟი. დამზღვევ კასაში შემოვიდა ივნისიდან ნოემბრის 1-მდე 107.561 ათასი მან. ამ თანხიდან ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 50.853 ათასი მანეთი.

ბათუმი. ნავსადგურში შემოვიდა ნოემბრის 1-ს სტამბოლიდან იტალიური ბანდერა „დორია", ინგლისური „რანგლა".

ახალციხე. საბჭოების სამაზრო ყრილობა დანიშნულია 3 დეკემბერს.

ხიდნადი. მოსავალი დამაკმაყოფილებელია, ღვინის მოსავალი კი საშუალოზედ ნაკლებია. მოსავლის რეალიზაცია ხდება ტფილისის მაზრის გაჯლენით. ფასები იზრდება. ხორბალი, რომელიც ღირდა 80—100 ათასი მანეთი ფუთი დღეს ღირს 200 ათასი მანეთად. ასევეთვე ხასიათის არის სიმინდის ფასის რეალიც. ღვინის ფასი, მიუხედავად არა საკმაო მოსავლისა შეტად მცირეა.

თამბაქოს პლანტაციების სივრცე შემცირდა. ბოლოს თამბაქოს მაგივრად სოფლებენ პურს.

ბათუმი. კომუნალური მეურნეობის მიერ შეკეთებული იქნა სკოლები შეკეთებას მოხმარდა 7.500 მანეთი ოქროთი.

ეკონომიური ცხოვრება

კახეთის ბამბა. ქართული ბამბა ადგილის და ოთხის რაიონებში დიდ ხანია მოყოლილია ადგილობრივი საჭიროებისათვის. ლაგოდეხის რაიონში 1901 წლის ცდა ბამბის მოყვანისა გამარჯვებით დასრულდა. ეხლა ეს რაიონები არ წარმოიდგენენ ბამბის კულტურის რაიონებს. საჭიროა მისი ხელ-ახალი აღდგენა.

ყარაიაზის ველზედ, მდ. ხრამის ნაპირებზე ბამბის ნათესის სივრცე უდრიდა 2.000 დესიატინას. ქარხნები იყო ყარაიაზში 1, ტფილისში 2, ბორჩალოს რაიონში 1. ამ რაიონსაც ყურადღება უნდა მიექცეს და მიდგეულ უნდა იქნეს ზომები მრეწველობის აღდგენისათვის.

სამხატვრო ქრონიკა

— **ვაჟა ფშაველას პოემები.** სახელმწიფო გამომცემლობა ს. ობაშელის redakciiთ საჭიროდ ამზადებს ვაჟაფშაველას მე-II ტომის გამოცემას. ამ ტომში მოთავსებული იქნება განსაკუთრებით პოემები, როგორც დაბეჭდილი, ისე დაუბეჭდავი.

ალმანახი. ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი დეკემბრის 15-სთვის სცემს სალიტერატურო ალმანახს.

იაკობ ნიკოლაძის იუბილე. მოქალაქე იაკობ ნიკოლაძის იუბილეს, საიუბილეო კომიტეტმა გადასდო ორშ ბათისთვის 11 დეკემბერს. იუბილე გაი-

---

პოლიტიკა სოციალისტურ რევოლიუციის სასარგებლოდ საესებით გამომდინარეობს პარტიის სუბიექტიურ სოციალოგიის შემეცნებიდან და ერთად ერთი დამცველი და გამამართლებელი ვართ პარტიის ფილოსოფიური და პოლიტიკური დისციპლინის.

ყოველივე ამას ჩვენ მოვაგონებთ ამხანაგებს ლაკთა შორის. საკითხის განხილვის დროს განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ საკითხის ეკონომიურ მხარეს.

ჩვენი მასწავლებელი არჩილი ამბობდა: „ოცნებამ არ უნდა დაგვაშოროს მიწას" ეს მეტად საგულისხმოა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ნაძდვილი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, რომელნიც ყოველ პარტიას მეტი გაბედული და გარკვეული მოქმედების საშუალებას აძლევს.

რა მხრივ უნდა შევისწავლოთ ჩვენ მომენტი? რა ხასიათი ჰქონდა და აქვს ჩვენზე გავლენის მქონე ჩვენს ირგვლივ მომხდარ ამბებს? ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ რუსეთის რევოლიუცია არ არის ადგილობრივი ხასიათის რევოლიუცია, რომ იგი ან დაიდუპება ან გაიმარჯვებს, როგორც ადგილობრივი მოვლენა ან გაიმარჯვებს, როგორც საერთაშორის მოვლენა, მაგრამ რა კი რუსეთი უდიდესი ტერიტორიალური ერთეულია მთელი მსოფლიოსი, რომლის მრეწველობის ოთხი მეხუთედი უცხო ქვეყნების ხელში იყო მოქცეული, და რომლის მარტო ხორბლეულს მარტო ევროპა ასაღებდა 650 მილ. ფუთზე მეტს აქედან, აშკარაა რომ რუსეთის პრობლემა არსებითათ საერთაშორისო ხასიათს იღებდა.

ერთი სიტყვით მეოცე საუკუნის სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებას აშკარა სამსოფლიო ეკონომიური მეურნეობის ხასიათი აზის და უპირველი შემართება რუსთაველის თეატრში, ამ დღეს მოხსენებებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, ივანე გოზართელი და ვახტანგ კოტეტიშვილი.

იაკობ ნიკოლაძის წიგნი. სახელმწიფო გამომცემლობამ დაავალა სახალხო განათლების კომისარიატს, რომ გამოანახოს საშუალება იაკობ ნიკოლაძის წიგნის დასაბეჭდავად. წიგნი დაახლოებით იქნება 70 გვერდიანი, რეპროდუქციებით. წიგნის redakciiა საქართველოს ხელოვანთა კავშირის კომიტეტმა დავალა ი. გრიშაშვილს, ტიციან ტაბიძეს და სანდრო ყანჩელს.

მონოგრაფია ნიკო ფიროსმანზე. სახელმწიფო გამომცემლობამ მორიგ სხდომაზე 21 ნოემბერს მიიღო დასაბეჭდავად ნიკო ფიროსმანის მონოგრაფია და კალკულიაციის სურათების ფრანგულად. repროდუქციების დაბეჭდვა განზრახულია პეტროგრადში. მონოგრაფიას ადგენს ტიციან ტაბიძე ტფილისის მხატვრების თანამშრომლობით.

ახალი წიგნი. რესპუბლიკის ცენზორმა განიხილა ი. გომელაურის მიერ შედგენილი ქრისტომატია. „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები", წიგნი მეოთხე, (შრომის სკოლის მეორე წლის კურსი) და ესეც, როგორითაც პირველი სამი, მოიწონა სკოლებში სახმარებლად. წიგნი მალე დაიბეჭდება.

ახალი პიესა. ახალგაზრდა დრამატურგმა ნ. გურგენაძემ დასწერა სოციალური დრამა „დამზრალი წალკოტი" 4 მოქმედებით. პიესა ავტორის მიერ წაკითხული იქნა ხელოვანთა ვიწრო წრეში და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. repეპერტუარი შიდა დადიანი დიდი ხალისით შეუდგა მის მზადებას, განზრახულია დაიდგას პირველად სახალხო სახლის სცენაზე კვირას, 10 დეკემბერს.

ადგილ, 7 დეკემბერს „ოდა" მონაწილეობენ: პეტლიაშ, ბარონკინი, ლევიცკი, გორელოვი, სალინინი და სხ.

ტერენტი გრანელის საღამო. ადგილ, დეკემბრის 7-ს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო. სიტყვებს: კონსტ. გამსახურდია: მისტიკა. ლექსს შენგელაია: ტერენტი გრანელი. ლექსები: გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, ოლოლა მუშა, რაჟდენ გვეტაძე, ს. ფაშალიშვილი, გიორგი აგრელი. დასაწყისი საღ. 8 საათზე. შესვლა ფასით.

პარტიაში

ადგილ, შუადღის 2 საათზე, „ტრიბუნას" redakciiაში დანიშნულია მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა. წევრებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

თხვევას არ მიეწერება, რომ საერთაშორისო დრამას მსოფლიო ომის ხასიათი მიეცა. ადგილ არ არსებობს არ ერთი საერთაშორისო საკითხი, რომელსაც წმინდა ადგილობრივი ხასიათი ჰქონდეს. ოსმალეთმა ბერძნები დაამარცხეს და მათი საკითხი ადგილ ლონდონში დასმული საერთაშორისო პოლიტიკის მაშტაბით. ყოველივე ეს საესებით გამომდინარეობს ჩვენამდეროვე საერთაშორისო ძალთა განწყობილებიდან.

დიდი პოლიტიკური მოვლენა აშკარა სამსოფლიო ხასიათს იღებს. სრულიად ნორმალურ პირობებში ერთი სახელმწიფოს ცვლილება უდიდეს გავლენას ახდენს მეორე, მესამე და მეოთხე სახელმწიფოზე. ყოველივე ეს შედეგია იმპერიალიზმის.

რა არის არსებითად იმპერიალიზმი? იმპერიალიზმი ერთი სახელმწიფოს მეორე, მესამე და სხვა სახელმწიფო საქმეებში ჩარევაა, ე. ი. იმპერიალიზმის ქსელი საერთაშორისო ქსელია. 1905 წელში რუსეთის რეაქციის გამეფებამ გაოიწვია ავსტრიაში საარჩევნო ბმის უფლების შეზღუდვა და კონსტიტუციის დარაკონური 14 მუხლის ამოძრავება, ინგლისის მუშათა პარტია ლიბერალებს დაუახლოვდა და საფრანგეთის სიხდიკალისტებმა რეფორმიზმის პოლიტიკას შეეგუენ.

ყველა ამ საგანზე არ ლირს მეტი ლაპარაკი. ეს ყველასათვის ცხადია. თვით საქართველოს 1918 წლის სეპარაციაც შედეგია გარეშე სახელმწიფოების დაცემის, ხოლო იმავე სეპარაციის უარყოფა 1921 წ. ისევ სხვა სახელმწიფოების აღდგენის ნაყოფია.

ერთი სიტყვით ჩვენ უნდა მიუდგეთ საქართველოს პრობლემის განხილვას და შესწავლას საერთაშორისო ცხოვრების თვალსაზრისით.

რა ბდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ? რა ხდება ირგვლივ?

დღეს, ნოემბრის 7-ს, საღამოს 4 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნული სტუდენტთა კომიტეტის სახწრაფო სხდომა, გადაუდებელი საკითხების განსახილველად. წევრების დასწრება სავალდებულოა.

სტუდ. კომიტეტი.

—

„არჩილ ჯორჯაძის" პოლიტიკური წრე". კვირას 10 დეკემბერს, საქართველოს მემარც. სოც.-ფედ. ცენტრალურ ბიუროში შესდგება მორიგე მოხსენება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. გ. გამყრელიძე შემდეგ თემაზე: „სოციალური უტოპიები" (მთავარი კომიტეტის გაფარფოებული სხდომის გამო კვირას მოხსენება არ შესდგა.) დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

წრის გამგეობა.

—

14 დეკემბრიდან გამოვა „ახალგაზრდათა ხმის" მორიგი ნომერი. პროვინციის ორგანიზაციებს ევალება მასალები სისტემატიურად მოწოდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა ახალგაზრდობის ცხოვრებას, პარტიული მუშაობის ანგარიშს ახალგაზრდათა შორის, მოწაფეთა ცხოვრებას და სხ.

ყოველი ორგანიზაცია მოვალეა დანიშნოს პასუხისმგებელი კორესპონდენტი „ახალგაზრდათა ხმისათვის". წერილები გადმოიგზავნება „ტრიბუნის" მისამართით. წარწერით „ახალგაზრდათა ხმას".

დაგალი საფეხურის სწავლა-გ ნათლეგის საქმე ტფილისში

(გაგრძელება)

საბავშო ბაღები და სახლები

ქალაქის განათლების განყოფილების მოქმედება, რასაკვირველია არ შეიძლებოდა განსაზღვრულიყოს მხოლოდ შრომის სკოლებით, ვინაიდან შრომის სკოლები ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს, თუ იქ მიღებულ იქმნა სრულიად მოუმზადებელი 8 წლამდე უპატრონოდ დატოვებული ბავშვები, იმიტომ მთავარი ყურადღება განყოფილების მიპყრობილი იყო ბავშვების სასკოლო ჰასაკამდე აღზრდაზე, საბავშო ბაღების და სახლების ორგანიზაციაზე, როგორც აუცილებელ საფეხურზე შრომის სკოლაში შესასვლელად, რისთვისაც შეძლებისდა გვარად განყოფილება კრებდა ამ საქმისთვის საკანონო ცოდნით აჭურვილ მასწავლებლებს.

ბაღებში ბავშვების აღზრდა სწარმოებს ფრიბელის და მონტესორის სისტემით. ამ ორად სულ განყოფილებას აქვს 18 საბავშო ბაღი და ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისთვის იხსნება კიდევ 3 ბაღი, ნადიროვკაში, ავლაბარში და ლ. დუმბაძის ქ. საბავშო ბაღებსა და თავშესაფრებში მოთავსებულია ბავშვები 3—6 წლამდე. ბაღებში ბავშვები მოდიან დილის 9 საათიდან და იმყოფებიან იქ 2 საათამდე, მეცადინეობა სწარმოებს გამოცდილ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, ბავშვს ეძლევათ 1|4 გირ. პური ტკბილი ჩაი, თავშესაფრებში ბავშვები იმყოფებიან დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე და ღებულობენ მთელი დღის საზრდოს.

საბავშო სახლებში იზრდება ბავშვები 3—16 წლამდე და იმყოფებიან სახელმწიფოს სრულ ხარჯზე. სასკოლო ჰასაკის ბავშვები კი დადინ შრომის სკოლებში და დაბრუნებისას მეცადინეობენ

საერთაშორისო რევოლიუციის საკითხი დღეს, გუშინ და გუშინწინდელი საკითხი კი არ არის, არამედ მიმდინარე დღის საკითხია. 1917 წელში მოხდა რუსეთის რევოლიუცია, 1919 წელში ამ რევოლიუციას მიემატა ტახტის დანგრევა ავსტრიაში და ოსმალეთში.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ რევოლიუციონური მოძრაობის პრ ცესი შეწყდა? რასაკვირველია,—ამის თქმა ისევე არ შეიძლება, როგორც შეუძლებელია ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ევროპაში ნორმალური მდგომარეობა დამყარდა. დღეს მსოფლიოსათვის და განსაკუთრებით ევროპისათვის რუსეთი, ავსტრია, გერმანია და ოსმალეთი დიდი პრობლემაა. ვიდრე ეს ქვეყნები პრობლემას წარმოადგენდნენ არსებული ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის ჭიდილი, რომელიც ჭიდილი ამავე დროს არის ჭიდილი რევოლიუციის და რეაქციის შორის; ამიტომ ეს ჭიდილი თავის თავად წარმოადგენს რევოლიუციის პროცესს. ამ მოხსენების მიზანია გამოარკვიოს ამ ორ ფრონტის მსვლელობის ისტორია, სით მივყევართ ამ ჭიდილს და რა შედეგებს იძლევა იგი.

მთელის ევროპის და რუსეთის ტერიტორია უდრის 10,501,1 ათას, ოთხ კუთხედ მილს, მცხოვრებთა რაოდენობა 469,603. 7 ათას სულს. ამაში რევოლიუციონურ ფრონტის ქვეყნებს—რუსეთს, ავსტრო-უნგრეთს და ოსმალეთს ეკუთვნის საერთო ტერიტორიის 9.245,3 ათას ოთხ კუთხედი მილი, ხალხში კი 214,0 მილიონ სულს. ამ გვარათ ანტანტის სახელმწიფოების თითეული მთელი ნახევარი დრამდ დაინტერესებულია იმ სახელმწიფოების ხელშეკრულებათა დარღვევაში. რომელსაც ინგლისი მეთაურობს.

(შემდეგი იქნება.)

ქართველები 482 ან 50,7 პროც. რუსები 113 ან [illegible] ებრაელები 299 ან 31,5 პროც. [illegible] 56 ან 6,0 პროც.

(დასასრული იქნება)

ა. ა.

ტერენტი გრანელი

ახალგაზრდა ქართველ პოეტებში თავისი ნაყოფიერებით და ტონით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ტერენტი გრანელი. მხოლოდ მას, კინც იგემა პოეზიის ინტიმური ზიარება და უფრო მეტად მას, ვისაც ჰომეროსის თქმით ღმერთებმა არგუნეს დვთაებრივი ნიჭი ამღერებისა,—შეუძლია მიხვდეს, თუ რას ნიშნავს საკუთარი ტონი პოეზიაში. დღეს როდესაც ქართულ პოეზიას აქვს დიდი წარსული და დიდი ტრადიცია, ძნელი არის გამოერჩიო მომღერალთა უფრულ ბრბოდან. დღეს იმდენად დიდია მოთხოვნილება და განვითარებულია ესტეტიური გემოვნება, რომ ძალიან ადვილია ახალგაზრდა პოეტმა ფეხი წაიტეხოს და დამარცხდეს. პირველი დამარცხება ყოველთვის არ არის დიდი ტრიუმფების წინასწარმეტყველება—ტრიუმფალურ ვამარებს და დაფნას სჭირდება შემოქმედებით ენერგიის მაგარი მუხლები და გზადამლალავი.

ტერენტი გრანელს აქვს თავისი პირველი წიგნი „სულიდან საფლავები". ეს ყვითელი წიგნი ძალი ფურცლებით სტოვებს მართლაც საფლავების სუნთქვის კოშმარულ შთაბეჭდილებას. ერთმა მწერალმა ტერენტი გრანელს უწოდა „დიდი მწუხარების პოეტი", ასეთი სადა და მარტივი დაფასება ყოველთვის შეესაწყნარებელი არაა. პოეტის შინაგან ირრაციონალობას ,ძნელია მოუნახო რაიმე ფორმულა, რადგან იგი მარად გამხიდავია და ვერ ითმენს ჩარჩოებს. აქ არ არის მარტო მწუხარება.

ტერენტი გრანელში უთუოდ მეტია ხილვა ხელშეუხების და შეუცნობის. ამ წიგნში არის ბევრი სტრიქონები, როდესაც „იგრძობთ მყუდრო უდაბნოებში მოზუზუნე სამუმების მოულოდნელ გამოქროლებას და საზარელ ოხვრას ქვიშაში დამარხულ ქარავნების. უფრო ხშირია შფოთიანი გადაშლა უიმედო აფრების. ტერენტი გრანელი—ეს თმებ გაწეწილი ბავშვი ტფილისის ტროტუარების და მისი აქლემისფერი მიდამოების იყურება ამ წიგნიდან მართლა სისხლიანი თვალებით ტერენტი გრანელს აქვს ბევრი ამღერება, რომელიც იძლევა უთუოდ იმპრესიონისტულ ათვისებას ტფილისის პეიზაჟისა პრიმიტივ ფორმებში. განსაკუთრებით „ეს შეიძლება ითქვას მის სულ უკანასკნელ ლექსებზედ. აქ არის გაბწირული ხმები ეშაფოტზედ ასული ადამიანის.

ალბად მის ლექსში არ არის ნიღაბი და პოზა. ყოველი სტრიქონი განცდილია უმეშველოდ და წარმოადგენს რომელიმე წუთს მისი ცხოვრებისეს. აქ იშლება საინტერესო მომენტი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. არიან პოეტები, რომლებიც ბიოგრაფიით ქმნიან შემოქმედებას. შეიძლება დადგეს დრო, როდესაც პოეტი დასწერს. თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთ ლექსს—ის იქნება მისი ავტობიოგრაფია. ასეთი რიგის პანთეონით იამაყებს ქართული პოეზიაც. ჩვენ ეხლაცა გვაქვს კალეიდოსკოპი მწუხარე და ძეოცნებე რაინდების: მაძია გურიელი, დალუპული ქალქით „და უკანასკნელ წუთებში ატირებული თავისმკვლელ შვილზე, გრიშა ბაბაშიძე, პეტერბურგის ნისლში და ქარში დაკარგული, საგახელი მორფით, შეღებილი ლოთებით ბავშვის კუბოში და სხ..

დღეს ტფილისისთვის სიზმარეულია ტერენტი გრანელის მოცახცახე სხეული, ისე როგორც გრანე-

ლისათვის სიზმარია და მოჩვენება საკუთარი ცხოვრება.

უიმედო დღეებმა
ნელა ჩაიარეს

და არავინ იცის, რომ ამ ზამთრის დაუსრულებელ დამეებში მას იატაკზე სძინავს გაყინული ცრემლებით. დილას, როდესაც ტფილისის ნისლში ამოვა მზე, იგი მიჰყვება მზიან ტროტუარს თვალებ-ამღვრეული, შფოთიანი ელდით და კონვულსიებით.

ქართული საზოგადოება უურადღებით უნდა მოეპყრას ახალგაზრდა პოეტს. მაგრამ არის ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომლისთვისაც ძვირფასია ქართული პოეზია და ხელოვნება მარადი.

ხუთშაბათს ტერენტი გრანელი კიდევ ერთხელ გამოვა ჩვენ წინ თავისი ახალი შემოქმედებით. ხუთშაბათის საღამო უთუოდ იქნება კიდევ ზედმეტი გამართლება, ტერენტი გრანელის.

პაატა ორბელიანი.

თეატრი და ხელოვნება

გრიგის საღამო.

კონსერვატორიის ინსპექტორმა ჩემოდანოვმა საკონცერტო დარბაზში გამართა გრიგის ნაწარმოებთა საღამო. საღამოს დასაწყისში ჩემოდანოვმა წაიკითხა მოკლე ლექცია შვედეთის კომპოზიტორის დასახასიათებლად. შემდეგ შესრულებულ იქნა მთელი რიგი სოფორტეპიანო ნაწარმოებთა აუდიტორიამ მოისმინა ჩემოდანოვის ლექცია ინტერესით მოელოდა მუსიკალურ ილიუსტრაციას. მაგრამ მე მგონია, რომ ილუსტრაციისათვის საჭიროა მხატვრული შესრულება თუ არა იმ კომპოზიტორის ნაწარმოებთა, რომელსაც მიეძღვნა საღამო, შედარებითი დასრულებული სახით შესრულება მაინც. საბოლოოთ, მე არ შემიძლია ჩემოდანოვის შესრულება ჩავთვალო საშვალო მოწაფის შესრულებაზე მეტად (არ არის სტილი, პასაჟთა სიწმინდე, ფრაზიროვკის გარკვეულობა, სათანადო პედალიზაცია), მე მგონია კონსერვატორიის ინსპექტორი არ უნდა გამოსულიყო ასე თუ გინდ იმიტომ, რომ ეს არ არის პედაგოგიური. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ნიჟიერი ვიოლინისტი პროფ. ლედნიკი. მისი წყალობითა და ჩემოდანოვის შედარებით დასრულებულად შესრულების გამო გრიგის სონატამ G-moll კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პედაგოგიურ ასპარეზზე კონსერვატორია იძლევა სულ ახალსა და ახალს ნიჟიერს მოწაფეს. აღსანიშნავია პროფ. ტრესკოვსკის მოწაფენი—როსტომბეკოვი და ზომერი,—პროფ. აისმერგის-ევტიევა და სვანიძე,—პროფ. მინიარის—აივაზოვი; პროფ. ლედნიკის—ბროდსკი. მალე მოსალოდნელია მოწაფეთა სიმფონიური კონცერტი სიხარულით ვამჩნევ, რომ კონსერვატორია იფურჩქნება და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის დირექტორს პროფ. ზაქარია ფალიაშვილს.

I-ს არც მეორე კონსერვატორია რჩება უკან. მის სათავეში მდგომი არაყიშვილი, აბაშიძე და პარათაშვილი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ საკონცერტო ნაწილთან ერთად განვითარდეს პედაგოგიური ნაწილიც. მოლაპარაკება სწარმოებს ფორტეპიანოს კლასის პროფესორთან ჰენრიგ ნეიგაუზთან, რომელიც რამდენიმე წლის წინად იყო I კონსერვატორიაში ეს დიდებული პიანისტია და ჩინებული მასწავლებელი. კონცერტებს აწყობს მოსკოვში. II კონსერვატორიასთან გახსნილია საოპერო სტუდია. მის მოღვაწეობაზე შემდეგ.

ჰ. ბებუთოვი.

კონსტანტინე გამსახურდიას

(ღია ბარათი)

ნოემბრის 28 ს, პირველ კონსერვატორიის დარბაზში—ფორტეპიანოს ინსტრუქტორ ბესარიონ ელენტის სიტყვის საპასუხო განმარტებაში, თქვენ იმ მოძრაობას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ქართულ ფუტურიზმის სახით, უწოდეთ სუფსიდიებისა და მანდატების სუნ ადენელი მოძრაობა.

ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ასეთ გამოსვლას ჩვენს წინააღმდეგ ამ უპასუხისგებლო კაცისაგან, მაგრამ როდესაც ამას საჯარეთ აცხადებს მწერალი ალ კავშირის წევრი შესაძლებელია საზოგადოებაში გამოიწვიოს ერთგვარი გაუგებრობა.

ამიტომ მოვალეა კონსტანტინე გამსახურდია, წინადადების გაძლევთ, რომ თქვენი აზრი ან ფარყოთ პრესის საშუალებით ან და დაამტკიცოთ იგი, თუ კი ეს ობიექტურად შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიტოვებთ თავისუფალი მოქმედების უფლებას თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვების შესაფერი პასუხისათვის.

თორმეტი სახელი და გვარი ქართველი ფუტურისტებისა.

მ. წ. საკუთარ ორგანოს უქონლობის გამო ვსარგებლობთ არსებული პრესით.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ ჩემს განცხადებას.

საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც რამე დამოკიდებულება აქვს ჩვენს უნივერსიტეტთან უკვე ეცნობებათ, რომ მე შემოდგომის სემესტრში ფიზიოლოგიაში ლექციებს არ ვკითხულობ. ფიზიოლოგია ითვლება ძირითად საგნად სამს ფაკულტეტზე: სამკურნალო, საპედაგოგიოზე და სამეურნეოზე. ცხადია, ფიზიოლოგიაში ლექციების წაკითხველობა განსაცდელში აყენებს იმ კურსების სტუდენტობას, რომელთათვის ფიზიოლოგიის მოსმენა წელს არის სავალდებულო. რასაკვირველია, ეს იწვევს უკმაყოფილებას, როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორთა შორის.

მიზეზი იმისა, თუ რამ გამოიწვია ასეთი ჩემი საქციელი ზოგს „უკვე ეცოდინება, ძაგრამ ყოველნაირ გაუგებრობის და მოულოდნელ რამის „თავიდან ასაცილებლად მე საჭიროდ მიმაჩნია წერილობით ვაუწყო დაინტერესებულ პირთ საქმის ნამდვილი ვითარება.

მე ჩამოვედ ქ. ტფილისს 1919 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით. მაშინ ბინის შოვნა კეთილთ დაქირავებით შეუძლებელი იყო. ბინების განაწილება იყო ქალაქის თვითმართველობის ხელში. ცხადია, ჩემთვინ, როგორც სახელმწიფო მოსამსახურესთვინ, ბინა ქალაქს. უნდა ეზოვა. მაგრამ მიუხედავად ბევრი წვალებისა, როგორც პირადი ჩემი მოლაპარაკებით, ისე ოფიციალური გზით მე ბინა ქალაქში ვერ ვიშოვე. მაშინდელმა ქალაქის მოურავმა, ბენია ჩხეიძეშვილმა, სიცილით გამომიცხადა ბოლოს: სჩანს, ჩვენს პროფესორებისთვის ბინას ვერ ვიშოვთ... მე იძულებული ვიყავი დავსახლებულიყავ ქალაქის გარეთ სემინარიის ახალ შენობაში. ბევრჯერ შევეცადე ქალაქში გადმოვსულიყავ, მაგრამ ამაოთ. როდესაც ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი დარსდა და მისი კანცელარიის ორი ოთახი ანასტასიის ქუჩაზე განთავისუფლდა, მე ვსთხოვე უნივერსიტეტის გამგეობას, რომ ეს ორი ოთახი დროებით ჩემთვის დაეთმო საცხოვრებლად. გამგეობამ მიმართა სამეურნალო ფაკულტეტის დეკანზე ალ. ალადაშვილზე, რომ ამ საკითხის გარ აწყვეტა მასზეა დამოკიდებული. მან კიდე უარი მითხრა: ეს ორი ოთახი პროფ. ვალტერს უნდა შეუნახოთო, რომელსაც მოელოდნენ კონსტანტინოპოლიდან, თუმცა საბოლოოთ მისი ჩამოსვლის საკითხი არც კი იყო გადაწყვეტილი. პროფ. ვალტერი არ ჩამოვიდა.

როგორც წითელი არმია ტფილისს მოადგა, მაშინ სემინარიის შენობა ყაზარმათ გადაქცეულ. რამდენჯერმე შემომიტანეს კარები. მაშინ მე იძულებული ვიყავი ძალაუნებურად ქალაქში გამოვქცეულიყავი ერთი წელიწადი ბარგთან ერთად. ერთი წელი ბარგისა იქ დარჩა, სხვათა შორის ჩემი წარსული წლების სამეცნიერო მუშაობის ოქმები, ზოგი მათგანი არც კი იყო შემუშავებული და გამოქვეყნებული. წითელ არმიის ზოგ შეუგნებელ ჯარის კაცებს იმავე ღამეს გაეტეხათ კარები და ყველა ეს გაენადგურებინათ.

იმ დროს ბინები ბევრი დაიცალა და მეც ჩამივარდა ხელში ერთი ბინა. მივიდე ორდერი და ჩავსახლდი. სულ იყო ბინაში სამი ოთახი. გავიდა ერთი თვე და ჩემს ბინაში ძალით ჩაესახლეს მოქ. კოვალი მუშა და კომპარტიის წევრი. სამართვეს სამუშაო კაბინეთი. ერთს წუთში ჩემი ქალიდები და წიგნები შეყრილიყო მეზობელ ოთახში. დამრჩა ორი ოთახი, რომელთაგან ერთი ნახევრად ბნელია. ამ ორ ოთახს ოთხი კაცისაგან შემდგარი ჩემი ოჯახობა ხმარობს. მე დავრჩი უკაბინეტოთ.

მაშინვე გავასაჩივრე მუშათა და გლეხთა ინსპექციაში საბინაო განყოფილების უკანონო საქციელი. რევიზიის შემდეგ გამოტანილი იყო დადგენილება მოქ. კოვალის გადასახლების შესახებ, მაგრამ მან ნებით გასვლა არ მოისურვა. ძალა კიდევ არ იხმარეს, რადგან იგი ფიზიკური მუშა არისა.

ეს იყო 1921 წ. ივნისში. მეორეთ კიდე გავასაჩივრე მუშათა და გლეხთა ინსპექციაში იმავე წლის შემოდგომის სემესტრში. საქმე ისევ-ისევ დაბოლოვდა. ინსპექცია ადგენს. საბინაო განყოფილება უწერავს ოთდერს სხვა ოთახზე. მაგრამ მოქ. კოვალი თავის მხრივ შოულობს ისეთ ქალალდებს, რომლის ძალით განკარგულება სისრულეში არ მოდის. 1922 წ. თებერვალში საბინაო განყოფილების გამგეს ტროროშელიძეს ჩემი ბინის საკითხი ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს მოახსენა. პრეზიდიუმმაც ის გარდაწყვეტილება მიიღო, რომ კოვალი სხვა ოთახში უნდა გადასახლებულიყო. მაგრამ არც ამან გასჭრა. პირიქით მარტში მივიღე მუქარის ოფიციალური განკარგულება, მაშინდელი საბინაო სექციის გამგის მოქ. პიტოევის მიერ ხელმოწერილი: თუ კოვალს თავს არ დაანებებთ ბინას საკითხში, თქვენ თვითონ იქნებით გამოსახლებული ბინიდანო! ეს პატივს მუქარაც გავასაჩივრე მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. მან კიდევ მიწერა საბინაო განყოფილებას დაუყოვნებლივ შეასრულოს მისი დადგენილება, მაგრამ ესეც ამაოდ დარჩა.

1922 წ. აგვისტოს მე შევიტანე გასცხადება უნივერსიტეტის გამგეობაში. ვსთხოვდი დახმარებას კაბინეტის დაბრუნების შესახებ. უნივერსიტეტმა ბიმართა პროფკავშირს და განათლების კომისარიატს. ორივე ხმრიდან ალთქმული იყო დახმარება. პროფკავშირმა კავშირმა კიდევაც მიმართა საბინაო განყოფილებას წინადადებით კაბინეტის განთავისუფლების შესახებ როგორც პირადთ მე, ისე პროფესორებიც უნივერსიტეტის დავალებით; ნუცუბიძე, რუბინაშვილი დადიოდნენ ამ საქმეზე. იყო წინადადება ლ. დუმბაძეს, სევ. ჯულელისა, რომ საბინაო განყოფილებას მოეძებნა კოვალისთვის ოთახი და გადასახლებინა. მაგრამ ამაოდ, საბინაო განყოფილების გამგე დოლიძე სულ იმას გვეუბნებოდა, ჩვენ ოთახები არა გვაქვსო. თქვენ თვითონ უშოვეთო. ბოლოს ჩვენ უშოვეთ. 2 დეკემბერს გამოუწერეს ორდერი და გადასცა გამოსახლების განკარგულება. მაგრამ კოვალმა არ მოისურვა გადასვლა და 4 დეკემბერს გააუქმეს 2 დეკემბრის განკარგულება 4 დეკემბერს ასეთი სიტყვებით შემხვდა კოვალი: Мусио, я вас предупреждаю, оставьте меня, а то... რა ბუქარა მე ვერ გავიგე, რადგან განვე მოვარიდე თავი.

განათლების კომისარიატს უნდოდა ჩარეულიყო ამ საქმეში ამნაირად. ვიხილეთ კოვალი ითვლება მუშათა ფაკულტეტის სტუდენტათ, აკადემიური განყოფილების გამგე იწერებოდა, რომ ზნეობრივ გვლემას ვიქონიებთო. მაგრამ ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა.

ჩემი დედინაცვალი მდგომარეობის დასახასიათებლად მოკიყვან შემდეგ ფაქტს. ჩვენს ორ ოთახს საკუთარი კედლის ღუმელი არა აქვს. ღუმელის კარები კოვალის მხარეს მოჰყვა. ამნაირად ჩვენ შეძლება არ გვქონდა კედლის ღუმელი გვეხურებინა. წარსულ ზამთარს დავდგით კედლის ღუმელი. ამან გამოიწვია წარამ წარამ ბავშვის გაცივება. ბოლოს იგი ფილტვის ახთებით გახდა ავათ. ორი თვე მეტი იწვა ლოგინათ. ექიმები მოითხოვდნენ ოთახში მუდმივად სითბოს დაცვას. რკინის ღუმელით კი მუდმივი ტემპერატურის დაცვა შეუძლებელი იყო. კოვალი წინააღმდეგი იყო მისი ოთახით კედლის ღუმელის გაბურღვისა. იძულებული ვიყავით ლ. დუმბაძესთვის მიგვემართა. მან გასცა შესაფერისი განკარგულება მილიციის მიმართ. მაგრამ კოვალმა ამის გაგებთილებაც მოახერხა. მას ისე დაესმინა ლ. დუმბაძე, რომ ამ ღუმელის გახურება მითხოვა მისი—კოვალის შესაწუხებლათ მოვიგონეთ, დაგვჭირდა ერთი კვირა საბრძოლველად, ვიდრე გამოძიების საშუალებით მისი სიცრუე გამოირკვეოდა და ალმ. კომიტეტი ხელახლ განკარგულების გასცემდა. მაგრამ ამის შემდგომაც სულ რამდენჯერმე ვისარგებლეთ, რადგან სწორეთ ღუმელის დახურვის დროს კოვალი განგებ სხვაგან მიდიოდა და ოთახის კარებს კიტდა. ღუმელი დაუხურავი რჩებოდა შეშა ტყუილ-უბრალოდ იწვებოდა.

ასეთ პირობებში მე გავატარე წელიწად ნახევარზე მეტი. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა და შეწუხებისა პირველ ხანში სწავლას ჩვეულებრივი ტემპით ვიწარმოვებდი. მაგრამ გუთა ვებელმა უბიხათმა, კომისარიატებში და საბინაო განყოფილებაში რბენამ გამტანჯა სულიერად. მე დღეს უკვე ადარ შემწევს ის ენერგია, რაც წინათ მქონდა. მეტის ატანა არ შემიძლია. დღეს მე მხოლოდ ლექციებს არ ვკითხულობ. ხვალ შეიძლება სულაც მივატოვო ტფილისი. თუ ოთხი წლის განმავლობაში ჩემი, როგორც მეცნიერის, ფლემენტარული მოთხოვნილება არ იყო დაკმაყოფილებული, ცხადია ჩემს აქ ყოფნას არავითარი ნიადაგი არ აქვს. ამ უკანასკნელ დროს რუსეთიდან ჩამოსული პროფესორები მეტ წილად გაცილებით უკეთესს პირობებში არიან, რადგანაც ისინი პრაქტიკის სპეციალისტები არიან, როგორც ექიმი, ინჟინერი და მათ თხოვნას მეტი გასავალი ჰქონდა. მე კი ვარ თეორეტიკოსი ბუნებისმეტყველი. მერმეთ, ბევრს მათგანს ნაცნობები და ნათესავები ალმოუჩნდნენ მთავრობის წევრთა და განყოფილებათა გამგეების შორის, რომელნიც დაეხმარენ ათ მეგვარ კეთილ და უკეთილ საქმეში, ვინ რაც რიდის არ—წარმოადგენდა—მოლაპარაკებისა ბეჭედს.

ამნაირად ჩემი ბინისსაკითხის გადაწყვეტაში არც სათანადო საბინაო დაწესებულებათ, არც ქალაქის წარმომადგენლებს, არც განათლების კომისარიატს და არც თვით უნივერსიტეტს არ გამოუჩენია სათანადო შეგნებულება. სხვანაირათ წარმოუდგენელია სამეცნიერო მუშაკის ოთახის წლის განმავლობაში უბინაობით გატანჯვა. ამის შემდგომ მე მგონია არავის არ უნდა ჰქონდეს ზნეობრივი უფლება დღევანდელ ჩემს საქციელს—დაქციების წაკითხვაზე და საერთოდ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გულის აცრუებას გაკიცხვით შეხვდეს.

ივ. ბერიტაშვილი,

5 დეკ. 1922.

P. S. 5—6 დეკემბერს საკონფლიქტო კომისიამ განიხილა ეს საქმე და გამოიტანა ასეთი რეზოლიუცია: ვინაიდგან კოვალს რემონტი უქმნია თავის ოთახში ის დარჩეს, ბერიტაშვილს კიდე მოეანოს სხვაგან ბინა სამი ოთახით ერთი ერთი თვის განმავლობაშიო, ეს რეზოლიუცია გამოიხატება იმაში, რომ მან ზედმეტ კარებს ქეჩა გაკრა.

ი. ბ.

6 დეკ. 1922.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დვაკარგე სამხედრო ალრიცხვის ბარათი მილებული ქუთაისის კომისარიატიდან 1922 წ. აპალონ ილიასძე კაკაბაძის სახელზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

№ 353

ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ. ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება

27 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მოხდეს ალრიცხვა ყველა, როგორც ჩვეულებრივ მავალის, ისე ერთვე ტვირთ მზიდავ ავტომობილებისა.

2. ვალდებულ ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ, ერთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებლივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე ალსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად

3. ალრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც ალრიცხვის დროს ად ნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ესენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისთანავე.

შენიშვნა: 1) დაბინდების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

შენიშვნა: 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მაშინებისას და ოკას ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან ალრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და საალრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მ პატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და საალრიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და საალრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათან დო დიფგულების გადახდის შემდეგ.

შენიშვნა: 1) ნომერისა და საალრიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

შენიშვნა: 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითოეულ ცალ ნომერზე 70/ათ. მან. და ძოწმობისათვის 10/ ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქი მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დაჭერონ და გადმოგზავნონ აღმასკომის საბმართველოს განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველი ისე მეორე მხარე, სახელმწიფო დაწესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის ალრიცხვა დაიწყება ა/წ „11" დეკემბრიდგან დილის 9 საათზე.

1, 2, 3 სამილიციო რაიონები. 11, 12, და 13 „ დეკემბერს
4 5, 6, და 7 „ „ 14, 15, 16 „
8, 9, 10, 11, და 12 „ 18, 19, 20 და 21 „

10. დანაშავენი ამ საავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5,000,000 მან. და ჯარიმის გადახდამდე კარ ჩ მოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადაეგზავნება აღმასრულებელ კომიტეტის საბმართველოში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. დუმბაძე.

ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აბაშიძე.

საბმართველოს განყოფილების უფროსი
პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.

№ 200 3—1.

ტირაჟი 1000 საქართვ. უმაღლ. ნეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.